მომსახურების ხელშეკრულება N34

თბილისი, საქართველო 16 ნოემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ შ.პ.ს „ჯორჯია"444",მისი დირექტორის გიორგი რაზმაძის სახით (**შემდგომში** „შემსრულებელი") და მეორეს მხრივ საფეხბურთო კლუბი „ზუგდიდი" მისი

დირექტორის გელა ინალიშვილის სახით –(**შემდგომში** „დამკვეთი"), ვმოქმედებთ რა, **საქართველოს** კანონმდებლობის შესაბამისად , ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, **შემდეგზე:**

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. „შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს „დამკვეთი"სასტუმროს ნომრით.

2.რეზერვაციის წესები:

2.1.სასტუმროს ნომრების დაჯავშნა ხდება **კომპეტენტური** პირის მიერ ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის **საშუალებით;**

2.2. სასტუმროს ნომრების დაჯავშნა უნდა მოხდეს სტუმრის შემოსვლამდე 10 დღით ადრე, შესაძლებელია წინასწარ დაჯავშნულ ნომრებში ჩამოსასვლელ პირთა გვარების შეცვლა.

2.3. ჯავშნის გაუქმება უნდა მოხდეს 72 საათით ადრე, წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება 1 დღის ღირებულების გადახდა.

3.ანგარიშსწორება

3.1. თანხის გადახდა შესაძლებელია, როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით, ასევე გადარიცხვით

.

3.2.წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური შეადგენს 2490 (ორიათას ოთხასოთხმოცდაათი) ლარს.

4. მხარეთა ვალდებულება

4.1.„შემსრულებელი" ვალდებულია : დროულად და ხარისხიანად უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება ;

42„დამკვეთი" ვალდებულია გადაუხადოს „შემსრულებელს" საზღაური შესრულებული სამუშაოსათვის არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა.

5.ფორს – მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ეს განპირობებული იქნება დაუძლეველი ძალის,ან სხვა სახის ფორს – მაჟორული გარემოებებით . ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს – მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.

6.დავების გადაწყვეტა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავას მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით. ასეთის მიუღწეველობის შემთხვევაში კი დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

7.ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეცვლის წესი

7.1.წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

8.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსრულებელი"	„დამკვეთი"
შ.პ.ს „ჯორჯია 444"	შ.პ.ს საფეხბურთო კლუბი „ზუგდიდი"
ს/კ 401948979	ს/კ 220370738
ს.ს. პროკრედიტ ბანკი	ს.ს „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი:MIBGGE22	ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE46PC0393600100003764	GE24LB0113192119822002
დირექტორი: 4.6.23 გ.რაზმაძე	დირექტორი: გ.ინალიშვილი